1. შესავალი

ამ ოთხი წერილიდან პირველი - პრეზიდენტის სახელზე იყო გაგზავნილი პრეზიდენტის კანცელარიაში ა.წ. 25 მარტს, ხოლო ბოლო - განცხადება პრემიერ-მინისტრის სახელზე, მე შევეცადე ჩამებარებინა მთავრობის აპარატში აგვისტოს დასაწყისში. ეს ბოლო წერილი (განცხადება) საერთოდ არ მიიღეს - წერილებს არ ვღებულობთ, ჩააგდეთ ყუთშიო. შევეცადე ამეხსნა, რომ ჩემი განცხადება ანონიმური (ამ სიტყვის არც ერთი მნიშვნელობით) არ არის - მაინც არ მიიღეს. თუმცა გნებავთ მიეღოთ კიდევაც, შედეგი ერთია - ის ადრესატამდე ვერ მიაღწევდა, როგორც ვერ მიაღწია ადრესატამდე ვერც ერთმა ზემოხსენებულმა წერილებმა.

წერილებში კი ლაპარაკია ეროვნული ეკონომიკის წინაპირობების შექმნის თაობაზე. ჯერ კიდევ, ჩემი ინტერნეტში გამოცემული წიგნის "ეროვნული კრიზისის" ბოლოთქმაში (საიტის მისამათი მოყვანილია ქვემოთ - იხ. წერილებში), რომელიც მნიშვნელოვან წილად "ვარდების რევოლუციისადმი" და მის შემდგომ ცხოვრების წესის შექმნისადმი არის მიძღვნილი, განხილულია ამ წესის პრობლემები. ჩემს წერილებში კი მე ვასაბუთებ ამ მიმართულების ერთ-ერთ კონკრეტულ გზას და ვთხოვ სახელმწიფოს პირველ პირებს ხელი შემიწყონ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმაში. მაგრამ, ხსენებული პიროვნებების მაგივრად, მე აღმოვაჩინე მხოლოდ ყრუ, ბიუროკრატიული კედელი და დავრწმუნდი მხოლოდ იმაში, რომ ცოცხალი აზრი ვერ შეაღწევს ამ "კედლის" იქით.

და ჩნდება კითხვა, თუ რა ფილოსოფია სუფევს იქ, იმ "კედელს" გაღმა?! თუ ეს ისევ პრაგმატული მსოფლმხედველობაა, მაშინ ყურადსაღებია, საზოგადოებაში არსებული ის აზრი, რომ საქართველოში ყველაფერი უბრუნდება ისევ (ყოველ შემთხვევაში არის ასეთი ტენდენცია) თავის, შევარდნაძისეულ წრეს; რამეთუ, როგორც თქვა ერთმა დიდმა (და, ალბათ, უდიდესმაც კი) ამერიკელმა - სოციალური მოვლენების ორგანულობის ფილოსოფიის ფუძემდებელმა, ფრენქ ლ. რაიტმა: ნაკადული ვერასოდეს ვერ ავა თავის წყაროზე მაღლა.

2004 წლის აგვისტო

2. წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ მ. სააკაშვილს

ჩვენ უნდა შევიდეთ გლობალიზებულ ეკონომიკაში, მაგრამ მარილივით წყალში კი არ უნდა გავიხსნათ იქ, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია შევინარჩუნოთ საკუთარი მარცვალი გლობალიზაციის პირობებშიც კი. ეს არის ის ძირითადი აზრი, რომლის თვალთახედვით იხილება ეროვნული ეკონომიკის (და საერთოდ ეროვნული კულტურის) განვითარების პრობლემა შემოთავაზებულ მასალაში

საერთო სახელწოდებით "ეროვნული კრიზისი" და კონკრეტულ წინადადებებში. ხსენებული მასალა ჩემს მიერ გამოქვეყნებულია აგრეთვე ინტერნეტის საშუალებით.

წინადადებები ეხება მრავალპროფილიანი სახელმწიფო (პერსპექტივაში მთლიანი ან ნაწილობრივი პრივატიზაციის საშუალების გათვალისწინებით) სამეცნიერო-საწარმო ფირმის შექმნის თაობას, რომლის პროდუქცია იქნება დამიზნული და დანიშნული დსთ-ს და მომავალში საერთაშორისო ბაზრებზე გასატანად და აგრეთვე - განსაკუთრებულად პერსპექტიული პროექტების შესრულებაზე, რომლის განხორციელება მოითხოვს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოზიდვას.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ მიმიღოთ ნებისმიერ თქვენთვის ხელსაყრელ დროს.

ღრმა პატივისცემით

არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ბარნაბიშვილი

25.03.2004 წ.

P.S.

ზემოხსენებული მასალა, რომელიც გროვდებოდა (და იქმნებოდა თავის სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაწილში) ბოლო 12 წლის განმავლობაში და ცალკეული სტატიების სახით იბეჭდებოდა სხვადასხვა გაზეთებში, ფაქტობრივი ნაწილის გარდა აგრეთვე შეიცავს ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზსა და შეფასებას.

3. წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ მ. სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

25.03. 2004 წ. თქვენს სახელზე გამოგზავნილ წერილში მე გთხოვეთ მიმიღოთ სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმო მრავალპროფილიანი ფირმის შექმნის საკითხის შესახებ. ამ, მეორე წერილს გიგზავნით, რადგან ვთვლი, რომ ჩემს მიერ წამოყენებულია ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი პრობლემა, და ეს პრობლემა არ უნდა იყოს დამარხული ადმინისტრაციულ უჯრებში. ამასთან ამ წერილით დავაკონკრეტებ ზოგიერთ ადრე წამოყენებულ საკითხს:

1. რაც შეეხება წარმოებას. ფირმა დააპროექტებს სასაქონლო ობიექტს საქართველოში შექმნილი გამოგონების ნიადაგზე, შექმნის მოდელს და სამრეწველო ნიმუშს და შემდეგ დააყენებს მთავრობის წინაშე საკითხს მის (ობიექტის) რეკლამირებაზე და საცდელი პარტიის გამოშვებაზე გასაყიდად.

ამჯერად ჩვენ გთავაზობთ ნ. ჭეიშვილის გამოგონებას - ელექტროგასაზომი ხელსაწყო ლოგიკურ სქემებზე. ხელსაწყო ასრულებს ოცამდე გასაზომ ოპერაციას და გამოირჩევა თავის სიზუსტით და საიმედოობით. არსებობს ამ ხელსაწყოს საცდელი მოდელი, მაგრამ კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ის მოითხოვს ახალ დიზაინს და მობილური ტელეფონის მასშტაბის გაბარიტებში ჩასმას. შემდგომში ხსენებული ინჟინერის გამოგონებების საფუძველზე ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ვიწრო-სპეციალიზებულ კომპიუტერების შექმნაზე.

აგრეთვე გთავაზობთ ჩემი გამოგონების - მექანიკურად ტრანსფორმირებადი კედლის (დინამიური კედელი) - დაპროექტებას და საცდელი მოდელის შექმნას. გამოგონება დანიშნულია სამშენებლო ობიექტების შიდა და გარე ტრანსფორმაციის მისაღწევად.

2. რაც შეეხება პერსპექტიული პროექტების შექმნას, ჩემს მიერ წამოყენებულია ორი ასეთი პროექტი მშენებლობის დარგში. პროექტირების სტადია დახვეწის დონით ესკიზურ პროექტირებას აღემატება, მაგრამ პროექტები არ არის დაკომპლექტებული პროექტის სტადიის მოთხოვნის მიხედვით. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს არატრადიციულ მშენებლობას, ამ პროექტის ობიექტი «საქპატენტმა» აღიარა გამოგონებად სახელწოდებით «მცურავი კუნძული და მისი აგების ხერხი» და მასზე გაეცა პატენტი GE P 2003 2972 B. ამ პროექტის გაცნობა შეიძლება ინტერნეტში ჩემს საიტზე სახელწოდებით «ოკეანური არქიტექტურა», მისამართი: http://oceancity.narod.ru/index.html . საიტში მოყვანილია არსებული პროგნოზი 2020 წლის მსოფლიო ბაზრებზე საქონლის კონიუნქტურის თაობაზე, საიდანაც ჩანს, რომ მცურავი კუნძული 10-15 წელიწადში გახდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთხოვნილების მქონე საქონელი. უნდა მოგახსენოთ, რომ XXI საუკუნეში მცურავი კუნძულები გახდება ამერიკული სამხედრო სტრატეგიის ძირითადი ელემენტი - მე-XX საუკუნის ამერიკული სტრატეგიის ისეთი საყრდენის სანაცვლოდ, როგორიც არის ავიამზიდები. მე მინდა გამოვთქვა იმედი, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მთავრობა აირჩევს სწორ პოლიტიკას ამ დარგის მიმართ, საქართველომ შეიძლება შეასრულოს ისეთივე როლი მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში, როგორიც შეასრულა პორტუგალიამ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში (რაც მნიშვნელოვან წილად იყო მიღწეული ასეთ პატარა ქვეყანაში იმ დარგის მიმართ მაშინდელი პორტუგალიის მთავრობის შორსმჭრეტელი პროგრესული პოლიტიკის გამო).

ინვესტორების მოძებნის თვალსაზრისით, აქ პირველ ყოვლისა მხედველობაში უნდა გვქონდეს აშშ და იაპონია (მაგრამ, ამისათვის ჩვენ უნდა შევქმნათ მომქმედი მოდელი). აგრეთვე, ამ ობიექტების მიმართ შეიძლება გამოიჩინონ ინტერესი: რუსეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, სამხრეთ კორეამ და ჩინეთმა. უნდა ითქვას, რომ მცურავმა კუნძულმა შეიძლება მოიპოვოს დიდი მნიშვნელობა აგრეთვე არასაზღვაო ქვეყნებისათვის, რამეთუ ამ ობიექტის ფლობამ შეიძლება აქციოს ასეთი ქვეყანა საზღვაო ქვეყნად.

მეორე პროექტი მიეკუთვნება საკულტო ობიექტების მშენებლობის დარგს და ჩემი ჩანაფიქრით წარმოადგენს მართლმადიდებელ ეკლესიას. მაგრამ, ამ ეკლესიაში დაპროექტებულია არა მხოლოდ საკულტო პროცესების დარბაზი, არამედ მრევლთან დიალოგის დარბაზებიც, რაც იწვევს ზოგიერთი ამ დარგის სპეციალისტის წინააღმდეგობას. ამიტომ, მშენებლობის სახსრების მოპოვების თვალსაზრისით, წარმოიშვა იდეა აშენდეს საქართველოში ამ პროექტით ეკუმენისტური ეკლესია (ყველა ქრისტიანული ეკლესიის საერთო ტაძარი), რითაც ამ მშენებლობისათვის

მოიპოვება უცხოური ინვესტიციები. ამის გარდა ასეთი ტაძრის მშენებლობით საქართველოში განვითარდება რელიგიური ტურიზმი - ყველაზე კეთილთვისებიანი ტურისტული ინდუსტრია. დასასრულს მოვიყვანთ რამოდენიმე ცნობას ტაძრის შესახებ. დაპროექტებული ტაძრის შემოთავაზებული სახელწოდება - ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი ქ. თბილისში; ტაძრის საერთო ზომები: გეგმის კონტური - 44,98 მ. X 36,58 მ. ; მთლიანი სიმაღლე - 61,65 მ.; სიმაღლე ჯვრის გარეშე - 58,95 მ. მიუხედავად იმისა რომ ტაძრის ფასადები პრინციპიალურად გადაწყვეტილია ოცი წლის წინ, მისი ესთეტიკა შეეხმიანება საქართველოს ახალ სიმბოლოს - ყველა მხრიდან ტაძარი წარმოადგენს ჯვარს; ფერები - გარე კედლების თეთრი მარმარილოს სიბტყეების ფონზე, ღია წითელი ფერის (აქ ფერი დაზუსტდება მასალის საბოლოო არჩევასთან ერთად) ლილვებით შექმნილი დეკორი. ამგვარად, შემოთავაზებული ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი შეიძლება გახდეს ახალი საქართველოს სივრცობრივი (არქიტექტურული) სიმბოლო.

ამ პრობლემებთან დაკავშირებით გთხოვთ მიმიღოთ ნებისმიერ თქვენთვის ხელსაყრელ დროს.

პატივისცემით ნ. ბარნაბიშვილი

22. 04. 2004 წ.

4. განცხადება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა . დემოკრატები" თავჯდომარეს ქალბატონ მ. ნადირაძეს

25.03.2004 წ. მე გავაგზავნე წერილი საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის სახელზე, სადაც ვთხოვდი მიღებას მრავალპროფილიანი სახელმწიფო სამეცნიერო.საწარმო ფირმის შექმნის თაობაზე (იხ. დანართი 1), რომელზედაც პასუხი არ მივიღე. 22.04.2004 წ. მე გაუგზავნე მეორე წერილი პრეზიდენტს (იხ. დანართი 2), რომელიც შეიცავდა იმავე თხოვნას და ამასთან ერთად სამეცნიერო.საწარმო ფირმის (ან ინსტიტუტის) საქმიანობის დაკონკრეტებას. ტერმინებს "ფირმა" და "ინსტიტუტი" ამ შემთხვევაში მე ვხმარობ პრაქტიკულად იდენტური მნიშვნელობით, თუმცა ვთვლი, რომ სახელმწიფო ფირმაში მოვლა.პატრონობის უფლებები მეტია და პასუხისმგებლობაც შექმნილი პროდუქციის ხარისხზე მეტია, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტში. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად ასე შევთანხმდეთ ტერმინებზე.

პირველი წერილის ძირითადი აზრი ის არის, რომ გლობალურ ეკონომიკაში ჩვენ უნდა შევიდეთ, მაგრამ არ უნდა გავიხსნათ იქ ბოლომდე - როგორც შაქარი წყალში, არამედ უნდა შევინარჩუნოთ საკუთარი (ეროვნული) მარცვალი. ასეთი მარცვლის ქვეშ ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ დღესასწაულებში ეროვნული ჩოხის ჩაცმას, არამედ - ეკონომიკაში ეროვნული შემოქმედებითი პოტენციალის ამოქმედებას. ამიტომ, მეორე წერილში მე ვაკონკრეტებ, რომ პროდუქცია, რომლის

შექმნას და ბაზარზე გატანას ჩვენ ვაპირებთ, დამუშავდება საქართველოში შექმნილი გამოგონებების ნიადაგზე და მივუთითებ ამ გამოგონებებზე. იმის გამო, რომ აქ ჩვენ არ ვიწყებთ არაფრისაგან, არამედ ვეყრდნობით არსებულ საპროექტო ან საცდელ მასალას, ამ საქონლის დამუშავებას და საცდელი პარტიების გამოშვებას დასჭირდება რეალურად მინიმალური თანხები. გარდა ამისა გთავაზობთ მეცნიერულად დამუშავებული (საჭირო ცდების ჩატარებით) მასშტაბური პროექტების შექმნას, რომლის შესრულებასაც არ დასჭირდება დიდი თანხები, რადგან ეს პროექტები მოფიქრებულია პრინციპიალურად და მნიშვნელოვან წილად - დეტალებშიც კი. პროექტები შესრულდება სტადია პროექტის დონეზე, რის შემდეგ მათი
განხორციელების მიზნით საჭირო იქნება ინვესტორების ან მეწილეების მოზიდვა, რისი წინაპირობები უკვე არსებობს და თანდათანობით გაძლიერდება მსოფლიო ბაზრების მოთხოვნებში. მაგალითად, ჩვენს ერთ.ერთ ასეთ პროექტში სახელწოდებით "მცურავი კუნძული," რომელიც დაპატენტებულია საქართველოში და აგრეთვე გამოქვეყნებულია ინტერნეტში ვებ.საიტზე სახელწოდებით "ოკეანური არქიტექტურა" (იხ. დანართი 2), მოცემულია მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურის არსებული პროგნოზი 2020 წლისათვის, საიდანაც ჩანს, რომ ამ კუნძულების წარმოებას აქვს განვითარების ახლო პერსპექტივა. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ბიზნესმენების მოზიდვისათვის მხოლოდ პროექტი არ იქნება საკმარისი, არამედ საჭიროა საცდელი მოდელის დამზადება ათიან მასშტაბში. თავის თავად ცხადია, ასეთი მოდელი რეკლამირების გარდა იქნება საჭირო პირველ ყოვლისა ობიექტების ცურვადობის თვისებების გამოკვლევის მიზნით. ამ მოდელს ექნება გადაბრუნებული კონუსის (მწვერვალით ფსკერისკენ) სახე ფუძის დიამეტრით 20 მ. და სიმაღლით 10 მ. (მუშა მდგომარეობაში, ე.ი. წყალში, ეს სიმაღლე წარმოადგენს სიღრმეს). კონუსი მზადდება წინასწარ დაძაბულ რკინაბეტონისაგან და ამგვარად არ მოითხოვს დიდ თანხას. გარდა ამისა თავის ძირითადი დანიშნულებით გამოყენების შემდეგ ის გაიყიდება მცურავი რესტორნის, კაზინოს, ან სხვა ამგვარი მცურავი ობიექტის მოსაწყობად.

მეორე წერილის შემდეგ ჩემთან დარეკეს პრეზიდენტის კანცელარიიდან და მითხრეს, რომ დაკავებულობის გამო მ. სააკაშვილი ვერ მიმიღებს, მის ნაცვლად მიმიღებს პრეზიდენტის მოხელე (გვარი აქ არ მომყავს, რადგან ამ მოხელესთან პრეტენზიები არა მაქვს: ის აზროვნებდა ისე როგორც შეეძლო, და მასთან პრეტენზია იქნებოდა მისი ადამიანური უფლებების შელახვის ტოლფასი). მოხელემ მითხრა, რომ ჩემი პროექტი - "მცურავი კუნძული", მის გონებაში იგივეა, რაც მარსზე მშენებლობის პროექტი. ამით მან დაასრულა ჩემს მიერ შემოთავაზებული სამეცნიერო.საწარმო ფირმის ან ისტიტუტის შექმნის განხილვა. აქ რა გაეწყობოდა, მაგრამ მე ჩემი წინადადების გარდა მოვიტანე და დაუტოვე პრეზიდენტის მოხელეს პრეზიდენტისათვის გადასაცემად აგრეთვე ერთი კომპიუტერული ფირფიტა (ფლოპი) ჩემი ელექტრონული წიგნის "ეროვნული კრიზისის" ტექსტით. იგი გამოქვეყნებულია საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ვებ.საიტზე ელექტრონულ ლიტერატურაში (მისამართი: http://www.nplg.gov.ge/ic/nikobarnabishvili/axali/index.html). ეს წიგნი იწერებოდა და იბეჭდებოდა პრესაში 1991.2004 წლებში ცალკეულ სტატიებად და 2003.2004 წელს ჩამოყალიბდა წიგნად. წიგნი ეძღვნება ამ პერიოდის საქართველოს მოვლენებს, მიუკერძოებელია და სარგებლობას მოუტანდა პრეზიდენტს. აგრეთვე დაუტოვე პრეზიდენტისათვის ერთი ეგზემპლარი ჩემს მიერ გამოცემული მცირე წიგნის: "რჩევა.ინსტრუქცია მიწისძვრის დროს მოსახლეობის ქცევის წესების შესახებ" (იხ. დანართი 3; და არ გაგიკვირდეთ: ჩვენს

სახელმწიფოში პატიოსანი შრომით კაცი ვერ იცხოვრებს, მითუმეტეს ვერ შეინახავს ოჯახს ერთი პროფესიით, და მეც ორი პროფესია მაქვს - ვარ არქიტექტორი და ვარ საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი, ამჟამად ამ თანამდებობაზე ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). ამის გარდა მე დაუტოვე მოხელეს ამ წიგნის ორი ეგზემპლარი გაცნობისათვის და შევთავაზე, თუ იქნება მათი (პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების) სურვილი და თანხმობა, რათა გადამეცა საჩუქრის სახით ამ წიგნის 800 ეგზემპლარი საშუალო სკოლებისა და სხვა სასწავლებლებისათვის როგორც პრაქტიკული სახელმძღვანელო საგანგებო სიტუაციის დროს. თუმცა არც ის იქნებოდა ურიგო, თუ ბავშვებს სკოლიდანვე ასწავლიდნენ ამ წიგნში პუნქტებად ჩამოყალიბებულიდან ქცევის პირველ 5 პუნქტს და კიდევ მესამე დანართს. მაგრამ ამის შემდეგ გავიდა ორ თვეზე მეტი, ამ ეგზემპლარებს კი არავინ არ კითხულობს. როგორც ჩანს ეს საქმეც დაიმარხა ბიუროკრატიული უჯრების სიღრმეებში.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით გთხოვთ მიმიღოთ თქვენთვის სასურველ დროს.

პატივისცემით ნ. ბარნაბიშვილი

5.07.2004 წ.

დანართი:

1. წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს 25.03.2004 წ. (ასლი)
2. წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს 22.04.2004 წ. (ასლი)
3. ნ. ბარნაბიშვილი - რჩევა.ინსტრუქცია მიწისძვრის დროს მოსახლეობის ქცევის წესების შესახებ. თბილისი 2002

<u>შენიშვნა</u>: განცხადების დედანთან განსხვავებით ამ გამოცემაში, დანართის მე.3 პუნქტში მოყვანილ წიგნს (რჩევა.ინსტრუქციას), გასაგები მიზეზის გამო, ჩვენ აქ არ ვრთავთ - ეს წიგნი შეგიძლიათ ნახოთ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში და სხვაგან.

5. განცხადება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ბატონ ზ. ჟვანიას

ამ წერილის (განცხადების) პრეამბულას წარმოადგენს დანართში მოყვანილი წერილები საქართველოს პრეზიდენტის სახელზე და განცხადება პარლამენტის ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" თავჯდომარის სახელზე, რომელშიც მე ვითხოვდი მიღებას ჩემს მიერ შემოთავაზებული წინადადების - სახელმწიფო მრავალპროფილიანი სამეცნიერო-საწარმო ფირმის (ინსტიტუტის)

ჩამოყალიბების თაობასთან დაკავშირებით. ფირმის პროდუქცია იქნება დანიშნული დსთ-ს და მომავალში საერთაშორისო ბაზრებზე გასატანად და აგრეთვე - განსაკუთრებულად პერსპექტიული პროექტების შესრულებაზე, რომლის განხორციელებისათვის საჭირო იქნება ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოზიდვა.

რაც შეეხება წარმოებას, მის შესახებ მოხსენებული მაქვს მეორე წერილში პრეზიდენტის სახელზე (იხ. დანართი 2, პუნქტი 1). აქ მე შევეხები მხოლოდ პერსპექტიულ პროექტებს. პირველი პროექტი წარმოადგენს მცურავ კუნძულს, რომელიც შეიძლება იყოს მოტივტივე (floating) და/ან მართვადი (swimming). ჩემს მიერ შემოთავაზებული მოწყობილობა წარმოადგენს (უფრო სწორედ - აძლევს დასაწყის) ამ ობიექტების ახალ თაობას, რომლებიც არსებულთან განსხვავებით პანტონების მაგივრად ეწყობა რკინაბეტონის გადაბრუნებულ (წვეროთი ფსკერისკენ) კონუსში. ამ პროექტის შესახებ ამომწურავი (ინტერნეტის საიტის მისამართის მითითებით) ინფორმაცია მოცემულია ზემოხსენებულ მეორე წერილში პრეზიდენტის სახელზე (იხ. დანართი 2, პუნქტი 2) და აქ აღარ გავჩერდებით.

მეორე პროექტი წარმოადგენს საკულტო ნაგებობას - ეკლესიას. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამ ბოლო დროს აშენებულია საკმარისად ბევრი ძირითადად მცირე ზომის ეკლესია. ამ ფონზე ერთი ტაძარი - არქ. ა. მინდიაშვილის მიერ შექმნილი წმინდა სამების ეკლესია ქ. თბილისში წარმოადგენს შესამჩნევ მოვლენას. მაგრამ, მიუხედავად ამ ტაძრის უეჭველ არქიტექტურულ ღირსებებისა, მისი არქიტექტურული შთაგონების პირველწყარო რუსულ საეკლესიო არქიტექტურაშია და, პირველ ყოვლისა, ცნობილ მაცხოვრის ტაძარში ქ. მოსკოვში. ასეთი თარგმნილობა არ არის აკრძალური არქიტექტურაში (მაგალითად, ასე ფეხი მოიკიდა ფრანგულმა კლასიციზმა რუსეთში და წარმოიშვა რუსული კლასიციზმი), მითუმეტეს რომ ქართველმა ავტორმა ნიჭიერად გააკეთა ეს. მის (ავტორის) სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის, რომ იგი არ მალავს ამ პირველწყაროს - ტაძრის ზღაპრული იერსახის კონცეპტუალურ და კონსტრუქციულ წარმოშობას.

მაგრამ, თუ ზემოთქმულთან დაკავშირებით ჩვენ შევეხებით ეკონომიკურ წანაძღვრებს (და ზუსტად ეს უკანასკნელი წარმოადგენს ამ ჩემი წერილის საგანს), მაშინ უნდა აღვნიშნოდ, რომ შემოტანის ფაქტორი წარმოადგენს საგანგაშო მოვლენას ქართულ ეკონომიკაში. ჩვენ ყველაფერი შემოგვაქვს გარედან ქვეყანაში და არაფერი არ გაგვაქვს გარეთ (თუ არ ჩავთვლით ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკურად იძულებით მასობრივ ემიგრაციას). ჩვენ დავდივართ შემოტანილი მანქანებით, ვიცვამთ შემოტანილ ტანსაცმელს და ა. შ. და ამასთან ერთად ვინახავთ ოჯახებს საზღვარგარეთიდან შემოტანილი ან გამოგზავნილი ფულით. ასეთი ქვეყნის ეკონომიკის გამომხატველი სახელი სპეციალურ ტერმინოლოგიაში ალბათ არც მოიძებნება, და ამიტომ, ამომწურავ ტერმინს აქ თუ დავესესხებით ასტრონომიას, - "შავი ხვრელია" მისი სახელი.

ასეთ ეკონომიკურ კოლაფსიდან გამოსვლა, რბილად რომ ვთქათ, ძნელია. ჩემთვის გასაგებია თქვენი მთავრობის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების ტვირთის მთელი სიმძიმე; მე აგრეთვე ვაღიარებ თქვენი ეკონომიკის მინისტრის კ. ბენდუქიძის ავტორიტეტს და ვაფასებ მის ცივილიზატორულ ნიჭს და გულწრფელობას; მაგრამ ვერ ვეთანხმები მის რწმენას გლობალური* პრივატიზაციის აუცილებლობის თაობაზე. მე ვთვლი, რომ ბატონი კახა ცდება, როდესაც ამბობს (და ეს მისი რწმენის ფუძემდებლური თეზაა), რომ, მაგალითად, პრივატიზირებული ტყე უფრო დაცული იქნება, რადგან მისი მფლობელი საჭიროების შემთხვევაში აიღებს თოფს და გამოვა

მის დასაცავად ქურდებისაგან. ეს მტკიცება არ არის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება აქ ის არის, რომ, როდესაც გაუჭირდება მფლობელს ფულის შოვნა, ის ან გაყიდის ტყეს გასაჩეხად, ან თვითონ მოჭრის და გაყიდის ხე-ტყეს. მე მოვიყვანე ეს მაგალითი, რათა გიჩვენოთ, რომ თქვენი მთავრობის ეკონომიკური პოზიციის წანამძღვრები არ არის თავისუფალი შეცდომებისაგან, და საჭიროა, ყოველ შემთხვევაში საიმედოობისათვის, გაიხაროს სხვა მიდგომის ერთმა ნერგმა მაინცა.

---

* არსებობს რაღაც ოპტიმალური თანაფარდობა ქვეყანაში კერძო და სახელმწიფო საკუთრების სიდიდეებს შორის, რომელიც საჭიროა ეკონომიკის ჯანმრთელი ფუნქციონირებისათვის. ჩემი წიგნის "კრიზისის" მე-8 დანართში ("ორგანული ეკონომიკის ჰიპოთეზა"), ინფორმატიკის თეორიაზე დაყრდნობით ამ სიდიდეების შეფარდება, გამოხატული მუდმივი ქონების (constant capital) კატეგორიით, განსაზღვრულია როგორც: 1/3 - 1/4. ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სპეციფიკიდან გამომდინარე ამ შეფარდების მნიშვნელობა კონკრეტულ ქვეყანაში შეიძლება მიუახლოვდეს ან მარჯვენა ან მარცხენა საზღვარს. (იხ. Н. Барнабишвили "Кризис", Тбилиси, "Мецниереба" 1997). თუმცა იმათთვის, ვინც უარყოფს ეკონომიკას, ანუ ქვეყნის მეურნეობას როგორც მთლიანობას (მოგეხსენებათ, ეკონომიკის არსი ჩაქსოვილი ამ ბერძნულ სიტყვაში ნიშნავს მეურნეობის მართვას, ხოლო ზოგი "მართავს" გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან, ზოგი - ჯგუფური ინტერესებიდან, ძველ, "მიამიტ" ბერძნებს კი ეგონათ, რომ უნდა მართო გამომდინარე საზოგადოებრივ, ანუ ხალხის ინტერესებიდან, ე.ი. - მთლიანობიდან), არც ამ შეფარდებას აქვს რაიმე აზრი. მაგრამ, ასეთ ფილოსოფიას მივყავვართ კრიმინალურ ეკონომიკასთან, რომელშიც, მართალია შენიღბული სახით, ჩვენ უკვე ვიყავით შევარდნაძის სახელმწიფოში. და აქ სხვა შენიშვნებიც იბადება, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ არ მიწყენთ - რადგან ვიცი, რომ ჭეშმარიტად განათლებული და ძლიერი ინტელექტის მქონე პიროვნება ბრძანდებით - თუ შემოგთავაზებთ გაეცნოთ (საიტის მისამართი იხ. ქვემოთ, შემდეგ გვერდზე) ჩემი ელექტრონული წიგნის "ეროვნული კრიზისის" მე-6 თავის იმ ნაწილს, სადაც მოცემულია პრაგმატიზმის და მისი პრაქტიკული გამოვლინების ფილოსოფიური (საკუთრივ ფილოსოფიური) ანალიზი.

ჩემს წერილში ხელისუფლების ხელმძღვანელთა სახელზე, მე არ გთავაზობთ არსებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების შემოტანას, არამედ გთხოვთ მინიმალურ სახსრებს, რათა შეიქმნას და ამოქმედდეს ეროვნულ ეკონომიკაში ერთი განსხვავებული ნერგი - ხსენებული სამეცნიერო-საწარმო ფირმა (ინსტიტუტი).

ზემოთ (შენიშვნაში) ნახსენებ ელექტრონული წიგნის "ეროვნული კრიზისის" (მისამართი: http://www.nplg.gov.ge/ic/niko_barnabishvili/axali/index.html) ბოლოთქმაში, რომელიც მნიშვნელოვან წილად მიძღვნილია "ვარდების რევოლუციისადმი" და მის შემდგომ ქვეყნის ცხოვრების პრობლემებისადმი, მე ვასაბუთებ იმ გზას, რომელზეც უნდა ყალიბდებოდეს ჩვენი ეკონომიკის წინაპირობები. და ახლა გთხოვთ მომცეთ საშუალება გავაკეთო პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით.

ფირმის (ინსტიტუტის) პროდუქციის შესახებ მე უკვე ვწერდი წინა წერილებში. ამ წერილში ძირითადად^შევეხები მხოლოდ ტაძრის პროექტს (სხვა ობიექტები, როგორც - საქონლის სახით გამოსაშვები ელექტროგასაზომი ხელსაწყო და ტრანსფორმირებადი კედლის კონსტრუქცია; აგრეთვე - პერსპექტიული პროექტის "მცურავი კუნძულის" დასაბუთება განხილულია ადრინდელ წერილებში, რომლებზედაც კონკრეტული მითითება მოცემულია ზემოთ - იხ მე-2 აბზაცი).

ამჟამად მე მივიყვანე პროექტი იმ საზღვრამდე, როდესაც მასზე მუშაობის გასაგრძელებლად საჭიროა კონკრეტული მიწის ნაკვეთი (სათანადო, ქანობიანი რელიეფით) და მოსაზღვრე სპეციალისტები. ტაძრის შენობა - ორიარუსიანი ნაგებობაა, რომელიც არქიტექტურულად და კონსტრუქციულად წარმოადგენს ტრადიციულ ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიას, მაგრამ მისი ნავები ერთი მხრიდან დაკიდებულია ვანტების (ბაგირების) საშუალებით, რომლებიც ეყდნობიან გუმბათის დასაყრდენი სვეტების შემაერთებელ თაღებს, და მეორე მხრიდან დაყრდნობილია წერტილოვან ცოკოლზე (რკინაბეტონის კვარცხლბეკზე), რომელიც მიწის ზედაპირის მიმართ მაღლა იჭერს მთელ ნაგებობას. ასეთმა კონსტრუქციულმა გადაწყვეტილებამ საშუალება მოგვცა გადაგველახა შუასაუკუნეობრივი რომანული სტილი მართლმადიდებელი ეკლესიის არქიტექტურაში და შეგვექმნა მისი თანამედროვე სახე. ამასთან ერთად ეკლესიამ შეინარჩუნა ქართული ეკლესიისათვის
დამახასიათებელი "გენეტიკური" ნიშნები. ავღნიშნოთ აგრეთვე, რომ ის, ერთი შეხედვით, უჩვეულო არქიტექტურულ-მხატვრული ხერხებიც, რომელიც პროექტში მოცემულია განვითარებული სახით, ჩანასახში უკვე არის გამოყენებული X-XI ს. ქართულ ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ: სვეტიცხოველში, სამთავისში, სამთავროში, გელათის მონასტრის ეკლესიებში და ზოგიერთ სხვაში.

სარგებლობის თვალსაზრისით, ტაძრის ძირითადი, ტრადიციული ფუნქციების გარდა, პირველ სართულზე (იარუსზე) გათვალისწინებულია აუდიტორია და ორი კონფერენც-დარბაზი. ამ სათავსების დანიშნულებაა, პირველ ყოვლისა, მრევლთან დიალოგის უზრუნველყოფა და აგრეთვე ღვთისმეტყველების დარგში კონფერენციების ჩატარება და სტუდენტებისათვის ლექციების წაკითხვა.

დაპროექტებული ტაძრის საერთო ზომები: გეგმის კონტური - 44,98მ ^{x} 36,58მ; მთლიანი სიმაღლე - 61,65 მ., სიმაღლე ჯვრის გარეშე - 58,95 მ.

ჩემს მეორე წერილში პრეზიდენტს (22.04.2004 წ.) მე შემოგთავაზეთ ამ ეკლესიის პროექტის ეკუმენისტური ტაძრის (ყველა ქრისტიანული ეკლესიის საერთო ტაძრის) ვარიანტის შექმნა. ამ ვარიანტის განხორციელებით მოიძებნება სახსრები მის ასაშენებლად სხვა, ეკონომიკურად ძლიერ ქრისტიანულ ქვეყნებშიც, და ამის გარდა, რადგან ასეთი ტაძარი გახდებოდა რელიგიური, კერძოდ ქრიატიანული, ტურიზმის ერთ-ერთი ძლიერი მიზიდულობის ცენტრი მსოფლიოში, ამ პროექტით ტაძრის აშენება იქნებოდა ტოლფასი ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ გატანისა. ცხადია, ეკუმენისტურ ვარიანტზე მუშაობის დაწყებამდე საჭიროა ქრისტიანულ ეკლესიებს შორის შეთანხმების მიღწევა ზოგ ფუნქციონალურ საკითხზე, რის საშუალებასაც იძლევა ჩვენი პროექტი, რაც ჩანს ტაძრის ზემომოყვანილ აღწერილობიდანაც. მფლობელობის და მოვლა-პატრონობის უფლებების განაწილებაზე ქრისტიანული ეკლესიები ალბათ თვითონ მორიგდებიან ერთმანეთში ფინანსურ და სხვა საფუძველზე.

ჩემს წინა წერილებს ფაქტობრივად არავითარი პასუხი არ მოყვა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. დანართი 4). თუმცა ქ-ბნ მ. ნადირაძის სახელზე წერილის საპასუხოდ პარლამენტის სათანადო აპარატთან ტელეფონით საუბრისას, მირჩიეს მოგმართოთ უშუალოდ თქვენ, რის გაკეთებასაც ახლა ვცდილობ.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, ამ ბოლო წერილში (რომელსაც მე ვაგზავნი საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესი პირების სახელზე) დაბეჯითებით გთხოვთ მიმიღოთ ნიბისმიერ თქვენთვის სასურველ დროს.

პატივისცემით ნ. ბარნაბიშვილი
27. 07. 2004 წ.

დანართი:

1. წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს 25.03.2004 წ.
2. წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს 22.04.2004 წ.
3. ნ. ბარნაბიშვილი - რჩევა-ინსტრუქცია მიწისძვრის დროს მოსახლეობის ქცევის წესების შესახებ. თბილისი 2002 (იხ. დანართი 4)
4. წერილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" თავჯდომარეს 5.07.2004 წ.

6. ილუსტრაცია: ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი ქ. თბილისში (პროექტი)
არქ. ნ. ბარნაბიშვილი - 4 ფოტო მაკეტიდან

1

2

3



4